ციხეები ევროპაში: ადგილობრივი იურიდიული სიახლეები

სექტემბერი 0000

*პრაქტიკოსებისთვის ევროპის მასშტაბით შესაძლოა, რთული იყოს, მიყვნენ ციხის შესახებ პრაქტიკას, კანონმდებლობასა და აღმასრულებელი ხელისუფლების განვითარებას ციხის საკითხებთან დაკავშირებით. წინამდებარე ბიულეტენში **ევროპული ციხის სამართალწარმოების ქსელი (EPLN), მისი წევრები და პარტნიორები ევროპის მასშტაბით** მიზნად ისახავენ ადგილობრივი იურისტებისა და ევროპის მასშტაბით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინფორმირებას ციხის საკითხებზე უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი მოვლენების შესახებ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს საშუალებას მოგცემთ, უკეთ მოახდინოთ ევროპული ტენდენციების იდენტიფიცირება და გამოიყენოთ ისინი თქვენს პრაქტიკაში. ბიულეტენი მოიცავს **ევროკავშირის 14 წევრ ქვეყანას**, აგრეთვე **რუსეთს, მოლდოვას, უკრაინასა და საქართველოს.***

ჩვენ მივესალმებით თქვენს უკუკავშირს, თუ როგორ ვაქციოთ ეს ბიულეტენი თქვენთვის უფრო სასარგებლოდ.

2022 წლის იანვარ-მარტის ციხის სამართლებრივი სიახლეების მიმოხილვა

COVID-19 ■ მოუხედავად იმისა, რომ COVID-19-თან დაკავშირებული შემზღუდავი ზომები 2022 წლის მარტში მოიხსნა **უნგრეთში**, ყველა პენიტენციური დაწესებულება რჩება სრული ლოქდაუნის ქვეშ „პანდემიასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების შესამცირებლად“ და ვიზიტებზე დაწესებული შეზღუდვებიც ძალაშია. ციხეში მყოფთა შორის აცრის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, **პორტუგალიის** ციხის სერვისების გენერალურმა დირექტორატმა (Directorate-General for Prison Services) ციხის დაწესებულებებში შეზღუდვების ნაწილი მოხსნა (ტემპერატურის გაზომვა, სავალდებულო PCR ტესტები და განცალკევება ვიზიტების დროს). **პოლონეთში** COVID-19-თან დაკავშირებული სანიტარული შეზღუდვების ციხის სერვისების დირექტორის რეკომენდაციების შესაბამისად მოხსნის შემდეგ აღდგა ოჯახის ვიზიტები.

დაკავების პირობები ■ **ბელგიურმა** ცენტრალურმა მონიტორინგის საბჭომა ღია წერილი გამოაქვეყნა მოსამართლეებისა და პარლამენტარებისათვის, მათ წასახალისებლად, რომ მისულიყვნენ ციხეებში და საკუთარი თვალით ენახათ გადატვირთულ დაწესებულებებში მყოფი პატიმრების მდგომარეობა. **საფრანგეთის** პარლამენტმა გამოსცა არასავალდებულო ანგარიში, რომელიც სამარტოო საკნის პრინციპზე უარის თქმის რეკომენდაციას იძლეოდა. ასევე **საფრანგეთში** უზენაესმა სასამართლომ იუსტიციის სამინისტროს დაავალა, რომ ერთი თვის ვადაში აღესრულებინა 2020 წლის ნოემბრის განაჩენი, რომლითაც მან კალედონიის ციხეში დაკავების არაადეკვატური პირობები დაადგინა. **ავსტრიაში** ვენის სისხლის სამართლის რეგიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამარტოო საკანში

ცალკე ტუალეტის ბოქსის არ არსებობა არ წარმოადგენდა პატიმრის უფლებების დარღვევას ადამიანის ღირსებასთან მიმართებაში. **უნგრეთში** პენიტენციური აქტის ცვლილებების მიხედვით სპეციალური დანაყოფები ჩამოყალიბდა დანაშაულის პირველად ჩამდენებისა და ხანდაზმულთათვის, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან უნებლიედ (იძულებით) ჩადენილი დანაშაულისთვის, რაც არაუმეტეს 5 წლის ვადით ისჯება, რათა ხელი შეეწყოს მათ რეინტეგრაციას.

დისციპლინა ■ რუსეთის უზენაესმა სასამართლომ არაპროპორციულად მიიჩნია პატიმრის მიმართ გამოყენებული დისციპლინარული სანქცია, რომელსაც საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უწევდა საწოლზე წოლა.

ელექტრო მონიტორინგი და შინაპატიმრობა ■ რუმინეთში ელექტრონულ მონიტორინგზე კანონის ცვლილებამ გადაწია ახალი ელექტრო მონიტორინგის სისტემის საპილოტო ფაზის დაწყება. **ავსტრიაში** სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებების მეშვეობით ტერორისტული დანაშაულისათვის მსჯავრდებული ადამიანები შესაძლოა ელექტრონულ მონიტორინგს დაექვემდებარონ ციხიდან მათი ნაადრევად გამოშვების შემდეგ. **პორტუგალიაში** სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო, რომ მას შემდეგ, რაც შემოწმდება, დაკმაყოფილებულია თუ არა შინაპატიმრობის შეფარდების ფორმალური მოთხოვნა, კომპეტენტურმა მოსამართლემ სათანადოდ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ უნდა დაკმაყოფილდეს ან უარყოფილ იქნას პატიმრობის სასჯელის აღსრულების ეს ფორმა.

სამუდამო პატიმრობა ■ რუსული სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებებმა გააფართოვეს იმ დანაშაულთა ჩამონათვალი, რომლებიც სამუდამო პატიმრობით ისჯება. **პორტუგალიის** უმაღლესმა სასამართლომ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიპლომატიური გარანტიები სასჯელის მაქსიმალურ ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რომელსაც მომჩივანი შეიძლება დაექვემდებაროს ექსტრადირების შემთხვევაში და განიხილება, რომ სამუდამო პატიმრობა არ იქნება დაწესებული.

მექანიკური შეზღუდვა ■ ესპანეთში, ცირკულარმა აღადგინა მექანიკური შეზღუდვის გამოყენება კატალონიის ციხეებში მისი გამოყენების აკრძალვიდან ერთი წლის შემდეგ.

გადატვირთულობა ■ საბერძნეთში ციხის გადატვირთულობა ახალი კვლევის პროექტის ფოკუსში მოექცა და განხილულ იქნა საბერძნეთის პარლამენტის სესიის დროს. **პორტუგალიაში** ბოლო დროს გამოქვეყნებული 2021 წლის სტატისტიკა ციხის მაცხოვრებლების შესახებ აჩვენებს, რომ ციხის დაწესებულებების (ნაგებობების) მესამედი გადატვირთულია.

სასჯელი და ციხის პოლიტიკა ■ ლიეტუვის პარლამენტმა დაიწყო კანონპროექტის შესწავლა, რომელიც მიზნად ისახავს ნაკლებად სერიოზული სამართალდარღვევებისათვის უფრო პროპორციული სასჯელის უზრუნველყოფას. **საფრანგეთში** პრეზიდენტის ორი დეკრეტით დადგინდა პენიტენციური კოდექსი ციხეში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის განმარტებისათვის. აგრეთვე **საფრანგეთში,** 2022 წლის ციხის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ახალი ციხეების მშენებლობას.

პირადი მოხმარების ნივთები ■ ბულგარეთში იუსტიციის მინისტრის მოადგილის ბრძანებების საფუძველზე ჩამოყალიბდა საგამოძიებო დაკავების დაწესებულებებში დაშვებული პირადი მოხმარების ნივთების ახალი სიები. ეს არ აფართოვებს დაშვებული ნივთების სიას და ნარჩუნდება წინა შეზღუდვები ტელევიზორებზე. **ჩეხეთში** ძალაში შევიდა ვალების აღდგენის ახალი წესები, რაც უარყოფითად აისახა პატიმრების დანაზოგებზე.

წინასწარი პატიმრობა ■ უნგრეთში სისხლის სამართლის კოდექსმა წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ვადა გაზარდა ოთხიდან ხუთ წლამდე (გარკვეულ საქმეებზე ექვსი). **უკრაინაში** სისხლის სამართლის საპროცედურო კოდექსის ცვლილებებით განისაზღვრა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ჩატარებისა და საომარი მდგომარეობის დროს ეჭვმიტანილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების წესი.

ციხის პერსონალი ■ საბერძნეთის უზენაეს სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოში (Areios Pagos) პროკურატურამ გამოთქვა აზრი იმ კანონის კონსტიტუციურობაზე, რომელიც პროკურორებს, რომლებიც ზედამხედველობენ ციხეებს, ანიჭებს კომპეტენციას ჩაატარონ ციხის პერსონალის წინასწარი გამოძიება სავარაუდო დისციპლინურ გადაცდომებზე. მოსაზრება კიდევ ერთხელ ადასტურებს პატიმრებისთვის მნიშვნელოვან პროცედურულ დაცვას.

ომის ტყვე ■ უკრაინაში ცვლილებებმა შესაძლებლობა მისცა პენიტენციური ინსტიტუტების სპეციალურ დანაყოფებს, რომ დროებით დაეკავებინათ ომის ტყვეები, სანამ ისინი გაიგზავნებოდნენ ომის ტყვეების ბანაკებში.

განმარტოება ■ გერმანიაში რეგენსბურგის რეგიონულმა სასამართლომ (ლანდგერიხტი) გადაწყვიტა, რომ ციხის პერსონალს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს პატიმართან საკანში შესვლის უფლება, როცა ის იყენებს ტუალეტს, თუ არსებობს არსებითი გარდაუვალი საფრთხე, ან თუ მისცა გაფრთხილება და დაელოდა გონივრული დროის განმავლობაში.

პროცედურული უფლებები ■ რუსეთის უზენაესმა სასამართლომ დააკონკრეტა მტკიცების ტვირთის განაწილება პატიმრობის პირობებთან დაკავშირებული საკომპენსაციო სამართალწარმოებისას. **პორტუგალიაში** იუსტიციის სასამართლომ დაავალა სასჯელაღსრულების სერვისების გენერალურ დირექტორატს, რომ სისტემატურად ეცნობებინა ციხეში სიკვდილის ფაქტები სასამართლო პოლიციისათვის. **ესპანეთის** საკონსტიტუციო სასამართლომ გამოაცხადა, რომ პოლიციაში არასათანადო მოპყრობის საქმეების ეფექტური გამოძიების მოთხოვნა ასევე უნდა გავრცელდეს ციხეში იზოლაციაში არასათანადო მოპყრობაზე.

სამართლებრივი დაცვის აშუალებები ■ ბელგიაში დამოუკიდებელი კომისიის გადაწყვეტილებები პატიმრების საჩივრებზე ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ ახლა საჯაროდ ხელმისაწვდომია ონლაინ. ასევე **ბელგიაში** სახელმწიფო საბჭომ ორ სხვადასხვა გადაწყვეტილებაში განსაზღვრა „არა-ფინანსური კომპენსაციის“ მახასიათებლები, რომელიც შესაძლებელია გაიცეს პატიმრებზე ციხის დირექტორის მიერ მიღებული უკანონო, უსამართლო ან არაგონივრული გადაწყვეტილების გაუქმების შედეგად. **მოლდოვის** მთავრობამ ახლახანს გამოაქვეყნა მონაცემები, რომლებიც მიუთითებს პრევენციული და საკომპენსაციო საშუალებების ფართოდ გამოყენებაზე, რომლებიც შემოღებულ იქნა ქვეყანაში დაკავების არაადეკვატურ პირობებსა და გადატვირთულობის სისტემატურ ხასიათიათთან დაკავშირებით კვაზი-საპილოტო გადაწყვეტილების შემდეგ.

ჩხრეკა ■ უნგრეთში ბუდაპეშტის რეგიონულმა სააპელაციო სასამართლომ ორ სხვადასხვა საქმეზე გადაწყვიტა, რომ პატიმრების ღირსების უფლება დაირღვა, რომლებიც ციხის ტრანსფერის დროს გაშიშვლებულნი გაჩხრიკეს.

უსაფრთხოება ■ გერმანაში რეგენსბურის რეგიონულმა სასამართლომ (ლანდგერიხტი) გადაწყვეტილება მიიღო, რომ ციხიდან შვებულების კონტექსტში ციხის ადმინისტრაციის უსაფრთხოების საზრუნავი უნდა შეფასდეს პატიმრის რეინტეგრაციის მიზანთან მიმართებაში.

სასჯელის შესწორება ■ ჩეხეთის რესპუბლიკაში პატიმრებმა, რომელთაც სურთ პირობითი სასჯელით გათავისუფლება, კომპეტენტური სასამართლოს ნაცვლად პირდაპირ უნდა მიმართონ ციხის დირექტორს. **საბერძნეთში** სისხლის სამართლის ცვლილებების შედეგად, დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობის დანაშაულისთვის დაკისრებული სასჯელი არ შეიძლება შეჩერდეს ან შეიცვალოს. **ავსტრიაში** ციხის აქტის ცვლილებების მიხედვით იქმნება „კონფერენციები“ პატიმრების ადრე გამოშვების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. **იტალიაში** დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა კანონი, რომელიც შეწყვეტს კონკრეტული დანაშაულისთვის მსჯავრდებული პატიმრების პირობით და დროებით გათავისუფლების აბსოლუტურ პრევენციას. **პორტუგალიაში** სააპელაციო სასამართლომ უარი უთხრა პატიმარს პირობითი გათავისუფლების მოთხოვნაზე, მიუხედავად იმისა, რომ ის ფორმალურ მოთხოვნებს პასუხობდა. ასევე პორტუგალიაში, სააპელაციო სასამართლომ დააკონკრეტა ის კრიტერიუმები, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას პატიმრის პიროვნების განვითარების შეფასებისას.

რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო, რომ საპატიმრო სასჯელის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ჩანაცვლებაზე უარი არ შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ მსჯავრდებულის ასაკს და დისკრიმინაციულად გამოაცხადა სამართებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს 60 წელს გადაცილებულ მსჯავრდებულთა კონკრეტულ კატეგორიას ამ შესაძლებლობისგან. **ესპანეთში** შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციის მიხედვით გაუუქმებელი სერიოზული ან ძალიან სერიოზული დისციპლინური სანქციის უბრალო არსებობა პატიმრის დისციპლინურ საქმეში აღარ წარმოადგენს ციხიდან შვებულებაზე უარის თქმის ობიექტური მიზეზს. **უკრაინაში** სისხლის სამართლის საპროცედურო კოდექსის ცვლილებების მიხედვით შემოღებულ იქნა პატიმრობის სასჯელის სამხედრო სამსახურით ჩანაცვლების პროცედურა.

წამება და არასათანადო მოპყრობა ■ უნგრეთში რეგიონულმა სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრის საქმეზე, რომელსაც სასატიკად სცემეს ციხის თანამშრომლებმა თვითდაზიანების მუქარის შემდეგ. **რუსეთის** სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებამ, რომელიც ახდენდა წამების შიდასახელმწიფოებრივი დეფინიციის რეფორმულირებას, გაიარა პირველი მოსმენა სახელმწიფო დუმაში, რუსეთის ფედერალური პარლამენტის ქვედა პალატაში.

ტრანსფერი ■ ავსტრიაში ვენის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ციხის ადმინისტრაციამ იმოქმედა კანონის ფარგლებში, როცა უარი უთხრა პატიმარს მის ოჯახთან ახლოს დაწესებულებაში ტრანსფერზე იმ მოტივით, რომ ამ დაწესებულებას დაკავებულობის მაღალი მაჩვენებლები ჰქონდა.

ვიზიტები და გარესამყაროსთან კოტაქტი ■ ბულგარეთში სასჯელისა და წინასწარი პატიმრობის აქტის აღსრულების ცვლილებების საფუძველზე შესაძლებელი გახდა დაკავებულის ესკორტირება მის პირად და ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ღონისძიებებზე დასასწრებად. **ლიეტუვაში** სასჯელთა აღსრულების კოდექსში ცვლილებებმა გაზარდა ვიზიტების რაოდენობა სამივე კატეგორიის მსჯავრდებულთათვის (რომლებიც დაკავებულნი არიან საერთო, საპყრობილის და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებებში). **პოლონეთში,** 2022 წლის თებერვალში ციხის სამსახურის დირექტორმა ზომები მიიღო პატიმრებისთვის ტელეფონით სარგებლობის დროის ლიმიტის ინტერპრეტაციის უნიფიცირებისათვის, მიუხედავად ამ დროის განმავლობაში განხორციელებული ზარების რაოდენობისა. **გერმანიაში** აუგსბურგის რეგიონულმა სასამართლომ (ლანდგერიხტი) დააკონკრეტა პირობები, რომელთა შემთხვევაში ციხის ადმინისტრაციას უფლება აქვს ნახოს პატიმრის მიერ უცხო ენაზე დაწერილი წერილი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ პატიმრებს კანონიერით მოეთხოვებათ გერმანული ენის სწავლა და გერმანიის საზოგადოებაში ინტეგრირება, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ უცხო ენის გამოყენება გაუმართლებელი იყოს.

სამუშაო ■ ლიეტუვაში სასჯელთა აღსრულების შესახებ კოდექსისა და წინასწარი პატიმრობის აღსრულების შესახებ კანონის ცვლილებები მიზნად ისახავს პატიმართა მხარდაჭერას, რომელთაც სურთ დაიწყონ თვითდასაქმებული ეკონომიკური საქმიანობა.

სრული გამოცემა იხილეთ ჩვენს ვებ-გვერდზე >>

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს წევრებს და ასოცირებულ პარტნიორებს ბიულეტენის ერთობლივად შედგენისთვის!

www.prisonlitigation.org
21ter rue Voltaire

75011 Paris

France
contact@prisonlitigation.org

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი დაფინანსებულია ევროკავშირის, UNAIDS და რობერტ კარის ფონდის მიერ. თუმცა, აქ გამოხატული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნით მხოლოდ ავტორებს და აუცილებლად არ ასახავს ევროკავშირის, ევროკომისიის, UNAIDS ან რობერტ კარის შეხედულებებსა და მოსაზრებებს. ევროკავშირი, ევროკომისია, UNAIDS და არც რობერტ კარის ფონდი არ შეიძლება იყოს მათზე პასუხისმგებელი.